გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2018-2019 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** შშმ პირების დახმარებები

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

„ადამიანები ვამბობთ, რომ მრავალფეროვნება დედამიწის ხიბლია“. და რა არის ჩვენი ვალი? ჩვენი ვალია დავინახოთ მათშიც ადამიანი, მოდეს საზოგადოებაში ინტეგრირება და გაიზარდოს სამოქალაქო ცნობიერება.

2. **თემატიკა:** ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურეობებით და სერვისებით უზრუნველყოფისათვის მოქმედი შესაბამისი მუნიციპალური პროგრამები.

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება ჩამონათალის მიხედვით)

პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (ლელა კვირკაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (lela.kvirikashvili@gmail.com 599 85 98 45)

(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

3. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

მოგეხსენებათ, ნებისმიერი საზოგადოება მაშინაა ძლიერი და ცივილიზებული, როდესაც მის წევრებს სრულად შეუძლიათ მათი შესაძლებლობების რეალიზაცია. როცა საქმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეხება, მხოლოდ თანასწორობის უფლების აღიარება არაფერს ნიშნავს, რადგან საჭიროა არსებობდეს ისეთი გარემო, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება საშუალება, სრულად გამოავლინოს თავისი უნარები. ეს არის ჩვენი მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების მთავარი საზრუნავი. მუნიციპალიტეტის, რომელიც არ ზრუნავს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, არ ქმნის ყველასთვის თანაბარ შესაძლებლობებს და ხელმისაწვდომ გარემოს, ვერ ჩაითვლება ცივილიზებულ, საკუთარ მოქალაქეებზე მზრუნველ მუნიციპალიტეტად. სრულად გვაქვს გაცნობიერებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი სწორედ ამის დასტურია. შშმ ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, ეხმარება მას თვირთწმენის ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემუშავებული და განხორიელებული პროგრამები, შედგენილია იმ პრინციპზე

დაყრდნობით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება არამარტო მუნიციპალიტეტის არამედ ქვეყნის ზნეობრივი მოვალეობაა. ამასთან, იგი აძლიერებს საზოგადოების ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობებს, რადგან ყველა ადამიანი საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ერთვება საერთო საქმეში.

შშმ პირებისა და მათი ოჯახების სოციალურ ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეება, ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრირება და ადაპტირებული გარემოს შექმნა ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის ყოველთვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა შშმ პირთა ბაზების შექმნა და დახვეწა, მათი ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით, რამაც მნიშვნელოვნად გააიოლა შშმ პირთა პროგრამების შემუშავება და განხორციელება. დაიწყო სტატისტიკის წარმოება კატეგორიების, ადმინისტრაციული ერთეულების, სქესის, ასაკის და საჭიროებების მიხედვით, რაც ძალიან დაგვეხმარა ბიუჯეტის დაგეგმვისას, პრიორიტეტების გამოხვლენაში (ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკის წყაროა სსიპ-სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილება და შემოსული განცხადებები). ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის N127 ბრძანებით შეიქმნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - შეზღუდული შესაძლებლობლების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლებიც აქტიურად არის ჩართული პროგრამების შემუშავებაში, შეისწავლის შშმ პირთა საჭიროებებს.

ვთანამშრომლობთ, არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და მათთან ერთად ჩართული ვართ სოციალური პროექტების განხორციელებაში, იმ სოციალური ჯგუფებისათვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მზრუნველობა.

ყოველდღიურად მუმდინარეობს მუშაობა, რათა შესწავლილ იქნას თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პრობლემა, რასაც პოზიტიური ცვლილება მოჰყვება შშმ პირთა მიმართ არსებული სტიგმის დაძლევასა და სერვისების განვითარებაში.

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

4. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის ცენტრალურ ნაწილში. ბოლნისის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით საზღვრავს მარნეულის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ესაზღვრება დმანისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით ისაზღვრება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტით, ხოლო სამხრეთით სომხეთის რესპუბლიკით. მუნიციპალიტეტის ფართობია 804,2 კმ^2.

2014 წლის აღწერით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 55 300 კაცს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 98 კაცი კმ^2, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ^2)

საკმაოდ აღემატება. მუნიციპალიტეტში 48 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ერთი ქალაქია. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 12 700 ადამიანს.

ქვემო ქართლის რეგიონი და მათ შორის ბოლნისი დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში, რაც დასტურდება მატერიალური და წერილობითი წყაროებით, კულტურული ძეგლებით. ამ ტერიტორიაზე აღრიცხულია 200-ზე მეტი ძეგლი. მათგან რამდენიმე, ბოლნისის სიონი, წუღრუღაშენი, მსოფლიო საგანძურშია შეტანილი.

ბოლნისის ისტორია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ რამდენიმე ათეული წელი გერმანელი კოლონისტები ცხოვრობდნენ.

ბოლნისში მოქმედებს მუნიციპალური თეატრი, წარმატებით ფუნქციონირებს როგორც საბავშვო, ასევე თოჯინებისა და ჩრდილების თეატრი. ბოლნისის კულტურის ცენტრში მოქმედებს შემოქმედებითი კოლექტივები, რომელთა აღსაზრდელები ხალხურ ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და სახვით ხელოვნებას ეუფლებიან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, რისი დასტურიცაა ბოლნისის სპორტულ-განმაჯანსაღებელი კომპლექსში შემავალი არაერთი წრის წარმატებული მუშაობა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტს ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მოსასვენებელი სკვერი შეემატა. ბოლნისში ფუნქციონირებს უძველესი, 4 ჰექტარ მიწის ფართობზე გადაჭიმული კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც გერმანელმა კოლონისტებმა დაარსეს და დღემდე ბოლნისელთათვის განტვირთვის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა. პარკი ყველა ასაკის წარმომადგენელზეა გათვლილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში განვითარებულ მოვლენებს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი“, „გაზეთი ბოლნისი“ და „გაზეთი ბოლნისის“ ონლაინ გამოცემა აშუქებს.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მაშტაბით სოციალური სერვისების მომსახურეობის ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 1 716 სოციალური დახმარების მიმღები ოჯახი, 12 251 პენსიონერი, 171 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, 352 მკვეთრად, 885 მნიშვნელოვნად, 141 ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა, ასევე ქვის მოპოვება-გადამუშავების გაფართოება და ტურიზმის განვითარება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ დაბა კაზრეთში ფუნქციონირებს სპილენძის კონცენტრატების მწარმოებელი კომპანია სს „RMG COPPER“. კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, შესაბამისად სს „RMG COPPER“ საქართველოს ლოდერ ექსპორტიორთა შორის ადგილს ღირსეულად ინარჩუნებს.

დაბა კაზრეთში ასევე ფუნქციონირებს შ.პ.ს. “RMG Gold”, რომელიც ერთადერთი ოქროს მწარმოებელი კომპანიაა საქართველოში.

აღნიშნული კომპანიები ადგილობრივი მოსახლეობის დამსაქმებელს და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი თვითმართველობის უფლებამოსილებას ახორციელებს ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე, რაც

იმას ნიშნავს, რომ არ ვიღებთ ცენტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებით ტრანსფერს. გამომდინარე აღნიშნულიდან მუნიციპალიტეტის მყარი საბიუჯეტო მდგომარეობა განაპირობებს ჩვენს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და სტაბილურობას, რაც გვაძლევს საშუალებას გვქონდეს საჭიროებაზე მორგებული, სოციალური პროგრამების ფართო სპექტრი.

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარეშე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქოტრები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების გამკლავებისათვის შემუშავებულია არაერთი პროგრამა და ტარდება სხვადასხვა სახის სამუშაოები, მათ შორის შშმ პირთა მიმართულებით ხორციელდება შემდეგი სახის პროგრამები და აქტივობები:

1. სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა - რადგანაც შშმ პირები წარმოადგენენ მოწყვლად კატეგორიას და მათი სამედიცინო მომსახურეობის საჭიროება გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა, სწორედ ამიტომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ძირითად პრიორიტეტს მათი დახმარება წარმოადგენს. პროგრამა უზრუნველყოფს შშმ პირების სტაციონალური, ამბულატორიული, ფიზიოთერაპიული, სარეაბილიტაციო მკურნალობებით, დიაგნოსტიკური კვლევებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები). აღნიშნული მომსახურეობებისათვის თითოეული ბენეფიციარისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობის თანხები:
   ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარი;
   ბ)დიაგნოსტიკური კვლევებისათვის - 500 (ხუთასი) ლარი;
   გ)ფიზიოთერაპიისა და სარეაბილიტაციო მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარი;
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა - ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა

გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირების (ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით) ყოველთვიურ ფულად დახმარებას, რადგან სახელმწიფო პენსიის გარდა ისინი საჭიროებენ დამატებით ფინანსურ დახმარებას. ბენეფიციართა კატეგორიები განისაზღვრა შემდეგნაირად: მხედველობადაქვეითებულები (მკვეთრად და მნიშვნელოვნად) პირები, შშმ ბავშვების მეურვეები, 18-დან 26 წლამდე შშმ პირები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მომვლელს (მეურვეები), ყრუ-მუნჯები და ასევე თირკმლის ჩანაცვლების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები. მუნიციპალირი პენსიის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით.

ა) 18 წელს ზევით მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 100 ლარი;

ბ) შშმ ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 150 ლარი;

გ) 18 დან 26 წლამდე შშმ პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 150 ლარი;

დ) ყრუ - მუნჯებს - 50 ლარი;

ე) დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს - 50 ლარი (2020 ბიუჯეტში გათვალისწინებულია - 70 ლარი);

3. გათბობის სეზონისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებით (250 ლარის ოდენობით) უზრუნველყოფა - პროგრამის ერთ-ერთ კატეგორიათ გათვალისწინებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, სადაც შშმ პირები ცხოვრობენ;
4. 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ლოგოპედის მომსახურეობით უზრუნველყოფა - პროგრამა გულისხმობს ლოგოპედის მომსახურების საფასურის 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შემდეგი კატეგორიის შშმ ბავშვების დაფინანსებას:

ა) დაუნის სინდრომიან ბავშვებს;

ბ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს;

გ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს;

დ) სმენადაქვეითებულ ბავშვებს (IV ხარისხის სმენაჩლუნგობა);

5. სტუდენტთა დახმარების პროგრამა - რომლის ფარგლებშიც ყოველთვიური ფულადი დახმარებით (100 ლარის ოდენობით) სარგებლობენ შშმ სტუდენტები, რომლების სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
6. ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - სოციალურად დაუცველი შშმ პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (0-დან 65 000 მდე სარეიტინგო ქულის შემთხავაში - 100 ლარი. 65 000-დან 150 000მდე არაუმეტეს 300 ლარისა);
7. უფასო კვებით (შაბათ კვირის გარდა) უზრუნველყოფის პროგრამა - უკიდურესად შეჭირვებული შშმ ბენეფიციარების ყოველდღიური კვება.

დამატებით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ინტენსიურად განიხილავენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების, განცხადებებს, რომლებიც განცხადებით მომართვის მომენტში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მომართვის პერიოდში მძიმეა მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

სამუშაო ჯგუფის მიერ განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამატებითი საჭიროებები.

შშმ პირების პრობლემების უკეთ შესასწავლად, ახალი პროგრამების შემუშავების და არსებული პროგრამების ეფექტურობის ზრდის მიზნით 2015 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში (შშმ პირთა ჩართულობით) შეიქმნა „შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებაში.

ბოლნისის იმ ხუთ მუნიციპალიტეტს შორის ერთერთია სადაც საქართველოს ყოფილი პირველი ლედის, მაკა ჩიჩუას, პატრონაჟითა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შშმ პირთა მშობლებისა და ორგანიზაციების კოალიცია „მოძრაობა ცვლილებებისთვის“ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები შშმ პირთა მშობლების გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის განხორციელდა პროექტი - „მშობელთა თემის მობილიზება და გაძლიერება“.

ამ პროექტის ფარგლებში დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს შეხვედრები რეკომენდაციების გასაწევად და გამოცდილების გასაზიარებლად, ბიუჯეტში შშმ პირებისათვის დანერგილი პროგრამების დახვეწაზე, რაც გულისხმობს პროგრამის ზუსტად მორგებას თითოეული ბენეფიციარისათვის.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად ჩართულია საინფორმაციო კამპანიებში, რომლებიც ეძღვნება შშმ პირების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას, რათა ისინი მეტად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში.

ყოველ 21 მარტს ვუერთდებით საინფორმაციო კამპანიას, რომელიც დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ეძღვნება. ამ აქციის მიზანია საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია დაუნის სინდრომის შესახებ.

2009 წლიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „განთიადი“, სადაც შშმ ბავშვები იღებენ მათზე მორგებულ სტანდარტის შესაბამის მომსახურეობას. ისინი უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური სწავლების მეთოდიკით, ექიმის დანიშნულების შესაბამისად შედგენილი კვების რაციონით და ზაფხულის სეზონისვითვის დასვენებით.

დღის ცენტრში არის ორჯერადი კვება, ტრანსპორტით მომსახურება, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემო. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, იმართება ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ეწყობა ექსკურსიები. შშმ ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან საზაფხულო კურორტით, მათი რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის მიზნით. ასევე ცენტრი უზრუნველყოფს შშმ ბავშვების ინკლუზიური განათლებისათვის მომზადებას.

2017 წლიდან გაიხსნა კრიზისული ცენტრი „იმედი“, რომლის მიზანია უზრუნველყოს პირდაპირი დაცვა და დახმარება, ოჯახური და სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (მათ შორის შშმ პირების). ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, პროგრამით უზრუნველყოფილია თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებით, ჰიგიენური საშუალებებით, კვებით, სოციალური მუშაკისა და ექთნის მომსახურეობით.

ვთანამშრომლობთ ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის, რომელიც ახორციელებს გრძელვადიან პროექტს ამერიკული დონორი ორგანიზაციის ელ-დი-ეს Charities დახმარებით, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის ეტლების უფასოდ გადაცემას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, ამ სფეროში არსებული ფუნდამენტური გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს არამარტო მუნიციპალიტეტებისათვის არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. საქართველომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებით გამოხატა მზადყოფნა, ქვეყნის პოლიტიკა და პრაქტიკა დააფუძნოს დასახელებულ დოკუმენტზე დაყრდნობით, რაც შშმ პირთა უფლებების დაცვის სტანდარტის დამდგენი მთავარი საერთაშორისო აქტია და გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შშმ პირთათვის უზრუნველყოს ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებებზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა. ამდენად, მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის სტრუქტურა, მისი ამოცანები და მათ მისაღწევად გაწეული საქმიანობები სწორედ კონვენციის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. ამის დასტურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო შეძლებისდაგვარად მოეწესრიგებინა ინფრასტრუსქტურა. ადაპტირებულია ავტობუსის ყველა გაჩერება, საბავშვო ბაღების ნაწილი. დაემატა ლიფტები დაბა კაზრეთში, პირველ რიგში იმ სადარბაზოებში, სადაც შშმ პირები ცხოვრობენ. ყველა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებში რომელიც იგეგმება და მომავალში განხორციელდება გათვალისწინებულია შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

ბოლნისის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად ჩართულია არაერთ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოსახლეობასთან შეხვედრები და საჭიროებებზე მოეგებული პრიორიტეტების განსაზღვრა.

შეხვედრას ყოველთვის აქვს დისკუსიის ფორმა, სადაც თითოეული მათგანი თამამად საუბრობს საკუთარი პრობლემების შესახებ, მერიისთვის მათი საჭიროებები ძირითად პრიორიტეტს წარმოადგეს, რაც შემდეგ ისახება „სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესში“ (იხ. საკანონმდებლო მაცნეში N74 25.12.2017 წლის დაგენილება).

ასევე, ვთანამშრომლობთ არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სადაც მათთან ერთად ჩართული ვართ სოციალური პროექტების განხორციელებაში, იმ სოციალური ჯგუფებისათვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მზრუნველობა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს, მაჟორიტარ დეპუტატს და საკრებულოს თავმჯდომარეს მუდმივ რეჟიმში აქვთ შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც ქალაქში, ასევე სოფლად და დაბაში. შეხვედრებზე დეტალურად ხდება იმ პრიორიტეტების

განხილვა, რომელიც უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**
- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**
- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის** (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**
- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

7. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.12.2017 წლის N74 დადგენილება, სადაც ყველა გამოვლენილი პრიორიტეტი ასახულია პროგრამის სახით.

„სოციალური და დახმარების მიღებისა და გაცემის წესით“ სარგებლობს 240 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

1. სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამით ისარგებლა 22 ბენეფიციარმა;
2. მედიკამენტური მკურნალობით ისარგებლა 38 ბენეფიციარმა;
3. ფიზიოთერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურება გაეწია 12 ბენეფიციარს;
4. ყოველთვიური მატერიალური დახმარებით (მუნიციპალირი პენსიით) სარგებლობს:

   ა) 18 წელს ზევით მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 95 ბენეფიციარი;

   ბ) შშმ ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 76 შშმ ბავშვი;

   გ) 18 დან 26 წლამდე შშმ პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 7 ბენეფიციარი;

   დ) ყრუ - მუნჯებს - 21 ბენეფიციარი;

ე) დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე - 46 ბენეფიციარი.

5. გათბობის სეზონისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებით სარგებლობს 145 ოჯახი;
6. ლოგოპედის მომსახურეობით ისარგებლა - 6 ბავშმა;
7. სტუდენტთა პროგრამით სარგებლობს - 3 შშმ სტუდენტი;
8. ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა - 80 ბენეფიციარმა;
9. უფასო კვების პროგრამაში ჩართულია 40 შშმ პირი.
10. საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „განთიადის“ მომსახურეობით სარგებლობს 30 შშმ პირი.
11. კრიზისული ცენტრის მომსახურეობით ისარგებლა 3 შშმ პირმა;
12. 2018-2019 წწ 20 ეტლი გადაეცა შესაბამისი საჭიროები მქონე ბენეფიციარებს.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შშმ პირების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად საჭიროა შესაბამისი პროგრამების სწორად დაგეგმვა და განხორციელება, რისთვისაც აუცილებელია მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირების აღრიცხვა, ინდივიდუალური საჭიროებებისა და მათზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა-გაანალიზება, ასევე პროგრამების მიმდინარეობის პროცესში ასრებული ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

პროგრამების განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შშმ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან ინტენსიური კომუნიკაცია, რაც გამოიხატება მათი სხვადასხვა აქტივობებში ჩართვით და მუნიციპალიტეტის სპეციალისტების მიერ შშმ პირთა ოჯახებში ხშირი ვიზიტებით.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ეფექტურად ჩასატარებლად საჭიროა კონკრეტულ საკითხზებზე მომუშავე სპეციალისტების სწორად შერჩევა და შემდგომში მათი პროფესიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება.

ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქრურებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია.

ჩვენს მიერ მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, მომქმედი მუნიციპალური პროგრამები ხორციელდება წარმატებით, მაგრამ რათქმაუნდა მიღწეულ შედეგებზე შეჩერებას არ ვაპირებთ, რისთვისაც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს არსებული პროგრამების დახვეწა და განახლება.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**

9. საკრებულოს როლი:

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი ხასიათის სრულყოფა. რაც თავის მხრივ განსაზღვრავს საკრებულოს

მიზნობრივი ორიენტირის და მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების ობიექტურად და ოპტიმალურად გადაწყვეტის საფუძველს. ეს პრინციპები აერთიანებს ერთის მხრივ ადგილობრივ თვითმართველობის განხორციელების, ხოლო, მეორე მხრივ კოლეგიალური ადმინსტრაციული ორგანოს საქმიანობის პრინციპებს. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ამდენად, ამ პრინციპის რეალიზება გულისხმობს იმ მექანიზმების არსებობას, რომლებმაც უნდა დაიცვას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩვენი მოქალაქეები. ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის საჭიროებაზე მორგებულ გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებას. ეს პრინციპი გულისხმობს თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც თავის მხრივ ქმნის ნიადაგს საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისათვის. რა თქმა უნდა ერთიან ორგანიზმად არსებობა არ გამორიცხავს კრიტიკას განხილვას და შენიშვნებს, რაც კოლეგიალურად შესაბამის სტრუქტურული ერთეულების მიერ განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საკითხის ბოლომდე დახვეწისა და კონკრეტულ საჭიროებაზე მორგების შემდეგ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი აქტიურად იხილავდა საკრებულოს შესაბამის ფრაქციებსა და კომისიებში საუკეთესო პრაქტიკის კონკურშში მონაწილეობისათვის საკითხების შერჩევის საქმეს და მათი დამოკიდებულება და შეფასება იყო კოლეგიალური რამეთუ ყველა პრობლემა რაც შშმ პირებთან მიმართებაში გადაწყვეტილა დღემდე სრული კონსესუსითაა მიღწეული. ვიზიარებთ რა პასუხისმგებლობას ჩვენს ამომრჩევლების წინაშე, ჩვენ ერთობლივად ვზრუნავთ ამ (და სხვა უამრავი) პრობლემების სწრაფ და სწორ გადაწყვეტილებების მიღებაზე .

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მომავალშიც შექმნის კიდევ უფრო დახვეწილ, ხელმისაწვდომ და საჭიროებაზე მორგებულ პროექტებს და ღონისძიებებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და ამ სფეროში არსებული ფუნდამენტური გამოწვევების გათვალისწინებით.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

1. ლელა კვირკაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (lela.kvirikashvili@gmail.com 599 85 98 45

2. შავლეგ მუშკუდიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური განყოფილების უფროსი 599 85 98 44

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. „სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესი“ N74 25.12.2017 წლის დადგენილება.
2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის N127 ბრძანება (ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - შეზღუდული შესაძლებლობლების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ)
3. წერილი ქვემო ქართლის ქალთა ასოციაციის „ქალი და სამყარო“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმართველობას შორის თანამშრომლობის შესახებ
4. შშმ საბჭოს სხდომის ოქმები
5. საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „განთიადი“ წესდება
6. მემორანდუმი „მრავალეროვანი საქართველოს ქალები“ და ქალაქ ბოლნისის მერიას შორის ურთიერთანამშრომლობის შესახებ

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 20 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე bp@nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge